პრივატიზების მაცნე

№ 14

1-15 ოქტომბერი, 1995 წელი

PRIVATIZATION HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი — გამოდის 1993 წლიდან — ფასი 25 თეთრი

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება №378

1995 წლის 23 სექტემბერი, ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ პრივატიზებული საწარმოების საქმიანობის შემოწმების წესის შესახებ

პრივატიზებული საწარმოების საქმიანობის შემოწმების სისტემის შემდგომი სრულყოფისა და მეწარმეთა კანონიერი უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით:

1. პრივატიზებულ საწარმოებში პრივატიზაციო დოკუმენტაციის კანონიერებისა და ძირითადი ფონდების შეფასების სისწორის შემოწმება განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მიერ კოორდინირებული წესით სახელმწიფო ქონების მართვის ცენტრალურ და რეგიონალურ სტრუქტურებში.

უშუალოდ პრივატიზებულ საწარმოებში ცალკეული საკითხების გადაწყვეტა დაიშვება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

2. პრივატიზებული საწარმოების საფინანსო საქმიანობისა და მათ მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის საკითხების შემოწმება განხორციელდეს მხოლოდ საგადასახადო ინსპექციის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პრივატიზებულ საწარმოს მიღებული აქვს სახელმწიფო კრედიტები ან პუმანიტარული გზით შემოტანილი ნედლეული და მასალები და ამასთან დაკავშირებით მინიჭებული აქვს კონკრეტული ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობისას.

3. სხვა დანარჩენ შემთხვევებში პრივატიზებული საწარმოების შემოწმება განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის კოორდინირების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 30 იანვრის № 26 ბრძანებულების შესაბამისად.

ე. შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება №382

1995 წლის 23 სექტემბერი, ქ. თბილისი

სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" შრომითი კოლექტივისათვის აქციათა პაკეტის ნაწილის უფასოდ და ფასდაკლებით გადაცემის შესახებ

დაკმაყოფილდეს სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" შრომითი კოლექტივის თხოვნა და გადაეცეს მას უფასოდ და ფასდაკლებით აქციათა პაკეტის 5 პროცენტი, მათ შორის 3 პროცენტი უფასოდ და 2 პროცენტი ფასდაკლებით.

ე. შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება №379

1995 წლის 23 სექტემბერი, ქ. თბილისი

"პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის 178 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესში მუშაკების უფლებათა გაფართოებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საწარმოთა აქციონირებისა და პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებაზე. სახელმწიფო საწარმოების გარდაქმნით ჩამოყალიბდა 800-ზე მეტი სააქციო საზოგადოება, რომელთაგან 400-ზე მეტმა შრომითმა კოლექტივმა მიიღო გადაწყვეტილება აქციათა საკონტროლო პაკეტის პირდაპირი მიყიდვის შესახებ. საწარმოთა შრომითი კოლექტივები, რომლებიც პოტენციური ინვესტორები არიან, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების ფონზე აყენებენ საკითხს პირველადი ფულადი შენატანის შეტანის გადავადების შესახებ, რათა მათ შეძლონ სათანადო სახსრების თავმოყრა.

ზოგიერთი სააქციო საზოგადოების შრომითმა კოლექტივმა საწარმოთა ხელმძღვანელების დაუღალავობის გამო ვერ შეძლო დასახულ ვადებში სათანადო დოკუმენტაციის გაფორმება და წარდგენა აქციათა საკონტროლო პაკეტის პირდაპირი მიყიდვის უფლების მოსაპოვებლად. მართალია, ასეთი საწარმოების ხელმძღვანელების მიმართ აღგილებზე მიღებულ იქნა ადმინისტრაციული ზომები, მაგრამ საბოლოოდ დაბარალდნენ მრომითი კოლექტივების რიგითი წევრები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოოა შრომითი კოლექტივების – პოტენციური ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებით:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულებაში და იმ სააქციო საზოგადოებებს, რომლებსაც გაუვიდათ აქციათა საკონტროლო პაკეტის შესყიდვის პირველი შეტანის გადახდის ვადა, ამ თანხის დაფარვის დრო გადაუვადდეთ 1995 წლის 15 ნოემბრამდე.

2. იმ სააქციო საზოგადოების შრომით კოლექტივებს, რომლებმაც საწარმოთა ხელმძღვანელების გამო დროულად ვერ შეძლეს დოკუმენტაციის წარდგენა აქციათა საკონტროლო პაკეტის პირდაპირი მიყიდვის უფლების მოსაპოვებლად, გაუგრძელდეთ ამ უფლებით სარგებლობის ვადა მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე, ხოლო აქციათა საკონტროლო პაკეტის შესყიდვის პირველი შეტანის გადახდის ვადა - მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე.

ე. შევარდნაძე

ნომერში

პრივატიზებული საწარმოების საქმიანობის შემოწმების წესი — გვ. 1

ბრძანებულებაში შეტანილია ცვლილებები — გვ. 1

ტემპი უნდა დაჩქარდეს — გვ. 1

პრივატიზებულია, როგორ მუშაობს — გვ. 2

მე-5, მე-6, მე-7 აუქციონების მოკლე ანალიზი — გვ. 4-5

დამტკიცდა ობიექტების ნუსხა — გვ. 5-6

რუსეთი ითვისებს საბაზრო მექანიზმს — გვ. 7

ყირგიზეთს საბაქო კავშირში შესვლა სურს — გვ. 7

განცხადება, რეკლამა — გვ. 8

ნომერში

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

ტემპი უნდა დაჩქარდეს

ვაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ ქონების მართვის საქალაქო, რაიონული ორგანოების ხელმძღვანელები. სხდომაზე ფართოდ ეცნენ აგრეთვე წარმოდგენილნი ელევიზიის, რადიოს, გაზეთების წარმომადგენლები.

სხდომაზე განსახილველი საკითხებიდან საგანგებოდ გამოიყო ა განსაკუთრებული ყურადღება ეთმო ე. წ. მცირე პრივატიზების მიმდინარეობას, მიღწეულ შედეგებს, ტენდენციებს. დასახელდა და ფუძვლიანად გაანალიზდა ონკრეტული ფაქტები, ციფრები. ქვა, რომ უკვე პრივატიზებულია 5000-ზე მეტი საყოფაცხოვრებო მომსახურების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და სხვა მცირე ობიექტები, რომელთა უმრავლესობა უკვე ფუნქციონირებს და მოსახლეობას ემსახურება.

განსაკუთრებით გამოიკვეთა ის, რომ აღნიშნულის მიუხედავად მცირე ობიექტების პრივატიზებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული პრობლემები, ქონების მართვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში კვლავ შეიმჩნევა უპასუხისმგებლობის, მოუქნელობის შემთხვევები, რაც მთავარია, ზოგგან ჯერაც დაბალია პრივატიზების ტემპები. დასახელდა კონკრეტული მაგალითები და გადაწყდა, რომ ერთი თვის შემდეგ ასევე გაფართოებულ კოლეგიაზე მოისმინონ ცალკეული რაიონების ქონების მართვის ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი მაოგანის მიმართ უკვე მიღებულია ადმინისტრაციული ზომები, ხოლო მომავალ კოლეგიაზე მათ მიმართ გატარდება უფრო მკაცრი ღონისძიებები.

კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ პრივატიზების პროცესის დაჩქარების, პრივატიზებული ობიექტების, სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნილი საწარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მეთაურის 378-ე, 379-ე ბრძანებულებებს. ამ დოკუმენტებში მკაცრად არის განსაზღვრული პრივატიზებული საწარმოების საქმიანობის შემოწმების წესები, რომლებიც ყველა პირობას ქმნიან ამ დაწესებულებათა მშეიდი და საქმიანი მუშაობისათვის. სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 23 სექტემბრის ბრძანებულებით კი დროის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შეღავათები მიეცათ იმ სააქციონერო საზოგადოებებს, რომელთაც უკვე გაუვიდათ აქციათა საკონტროლო პაკეტების შესყიდვის პირველი ეტაპის შეტანის გადახდის ვადა.

კოლეგიამ განხილულ საკითხებზე მიიღო გადაწყვეტილებები. სხდომის დაწერილებითი ანალიზი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

ნომერში

პრივატიზებულია, როგორ მუშაობს?

საჩუმათო არაფერი გვაქვს

სამოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპერიმენტი. მაგრამ ყოფილ საბჭოთა კავშირის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა სისტემამ მაინც ვერ შეძლო დაეპურებინა და შეემოსა თავისი მოქალაქეები.

ფულადი შემოსავლების (რომლის ნახევარს თვითონ სახელმწიფო იტოვებდა) გამუდმებულ დეფიციტს ზედ ერთვოდა საქონლისა და მომსახურების კიდევ უფრო ღრმა და ტოტალური დეფიციტი. სამხედრო თვალსაზრისით მძლეთამძლე სახელმწიფო ადამიანის სიცოცხლის, არსებობის უზრუნველყოფის – მატერიალური კეთილდღეობის გამოყენებისა და მოხმარების საბოლოო შედეგების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე თავისი გაფურჩქვნის პერიოდშიც კი მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს შორის მე-60 ადგილზე "მიჩანჩალებდა".

წარსულის ეკონომიკა, საბედნიეროდ, ისტორიის სავალალო ფურცლად დარჩა. ყოფილ საბჭოთა სივრცეში, მის ყოფილ რესპუბლიკებში – ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ფეხს იდგამს ახალი, საბაზრო ეკონომიკა. ბაზარი მოთხოვნად აყენებს "წარმოების ეკონომიკა" თავის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის არსით შეიცვალოს "ეკონომიკად ადამიანებისათვის". ეს, რა თქმა უნდა, საშუალებას ქმნის, მკვეთრად ამაღლდეს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი.

საბაზრო ეკონომიკა ქვეყანას საშუალებას აძლევს ორგანულ ნაწილად ჩაერთოს მსოფლიო მეურნეობას: ჰქონდეს მეწარმეობის საერთო წესები, საქონლის გაცვლის თავისუფლება, მყარი ვალუტა, სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოება და, რაც მთავარია, თანაც სრულიად განსხვავებული ძველი ყოფისაგან – გამომუშავებული თანხის თავისი ნებასურვილის მიხედვით ხარჯვისა და დაბანდების უფლება. უფლება – იყიდოს ის, რაც სურს, რაც სჭირდება და არ იდგეს სიით განაწილებული პროდუქტების თუ თავისი მაღაზიისათვის ბაზიდან ნორმირებული საქონლის მისაღებად.

ყოველდღიური ყოფიდან (სავაჭრო ობიექტები გვაქვს მხედველობაში) ამოვარდა ისეთი ცნებები, როგორიცაა "საფონდო საქონელი", "ცენტრალიზებული რესურსები", "საფონდო შეტყობინება", რაც მაღაზიებს უფლებას აძლევდა გასაყიდად გამოეტანათ მკაცრად შეზღუდული რაოდენობისა და ასორტიმენტის საქონელი. მათი განაწილება ხდებოდა რეგიონების, ქალაქების, რაიონების მიხედვით და ზომა-წონის გათვალისწინებით.

საქონლის ქრონიკული ნაკლებობა, ფონდირების პრაქტიკა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში რიგების სახით ვლინდებოდა.

შესაძლოა, ვინმემ თქვას, რატომ, საქონელი არ გვაკლდაო. როგორ არა, თავზე საყრელადაც გვქონდა, ვთქვათ, ასანთი, მარილი, კარაქი... ქსოვილებიც იშოვებოდა. მაგრამ აბა გაიხსენეთ, როგორც კი კარგი საქონელი ან პროდუქტი გამოჩნდებოდა რამხელა რიგები დგებოდა ხოლმე.

ისიც გეხსომებათ, რა ძნელი საშოვნელი იყო მაინცდამაინც ის, რაც გჭირდებოდათ. ვთქვათ, საპალტოვე ქსოვილი ან საფარდე ნაჭერი...

საბაზრო ეკონომიკის შემოსვლამ თანდათან სახე უცვალა სავაჭრო ობიექტებს. თუმცა ერთი შეხედვით, შეიძლება ეს ცვლილება ვერც კი შეატყოს ადამიანმა. ეს განსაკუთრებით ითქმის ქსოვილების მაღაზიებზე. მათ არც გარეგნული იერი შეუცვლიათ ძალიან და არც დახლებზე გამოჩენილა ქსოვილების გარდა სხვა რამ საქონელი.

ერთი ასეთი მაღაზია გახლავთ მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე ქსოვილების მაღაზია.

მაღაზიასაც თავისი ცხოვრება აქვს, თავისი ისტორია. დაახლოებით 35-40 წლის წინათ მის აბრას ამშვენებდა წარწერა "ფართალი", მერე "ფართალი" "ქსოვილებმა" შეცვალა. დღეს მას "სალომე" ჰქვია...

– მაღაზიის სახელწოდებებიც კი გასაგებს ხდის მის მიერ განვლილ გზას, – გვეუბნება მაღაზიის დირექტორი, (სხვათა შორის, ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი), ანზორ ბერიაშვილი, – წინათ, საბჭოური ცხოვრების პირობებში, კაცს გასაქანი არა გქონდა. მინდოდა თუ არა, რასაც ბაზა მომცემდა იმით უნდა დავკმაყოფილებულიყავი. სად იყო იმის საშუალება, საქონელი იმის მიხედვით მომეზიდა, რაც ჩვენი მაღაზიის მომხმარებელს, მყიდველს უნდოდა, ესაჭიროებოდა და რაც მთავარია – მოეწონებოდა.

ანზორ ბერიაშვილი ამ მაღაზიას უკვე ოცდაათი წელიწადია დირექტორობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იმთავითვე გამოირჩეოდა საქმის სიყვარულითა და მაღალი პროფესიონალიზმით. როგორც კი რაღაც მცირე შესაძლებლობა მიეცა, – ხომ გახსოვთ საბჭოთა ეპოქის ბოლო წლებში კერძო ინიციატივები რომ გამოჩნდა, – უმალვე ახლებურად დაიწყო მუშაობა. მხოლოდ ბაზიდან მომარაგებით აღარ კმაყოფილდებოდა. რაკილა ნება მიეცა, თვითონვე დადიოდა საბჭოეთის რესპუბლიკებში, სხვადასხვა დიდ თუ მცირე საწარმოებში და სწორედ ისეთი ქსოვილები შემოჰქონდა თვითშესყიდვით, როგორიც მისი მაღაზიის მყიდველებს სჭირდებოდათ. ანზორ ბერიაშვილისათვის პირველ ადგილზე იდგა მყიდველთა ინტერესები. ალბათ, ახსოვთ თბილისელებს, რა ფართო ასორტიმენტის ქსოვილები, რა ნაირნაირი ნაჭრები გამოჩნდა იმ წლებში ამ მაღაზიაში.

მყიდველთა ინტერესები ამჯერადაც მთავარია მაღაზიის მთელი კოლექტივისათვის.

ისეთი შემოქმედი, საქმეზე შეყვარებული და პროფესიონალი ადამიანისათვის, როგორიც ანზორ ბერიაშვილია, ნამდვილად საუკეთესო დრო დადგა.

მაღაზიის დირექტორიცა და დანარჩენი მუშაკებიც მზად შეხვდნენ საბაზრო ურთიერთობების შემოსვლას, მზად შეხვდნენ სახელმწიფო ქონების, კერძოდ კი მათი მაღაზიის განკერძოებას, პრივატიზებას. ბევრი ფიქრი არც დასჭირვებიათ, თითქოს იმთავითვე როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდა, ყველას ერთმა აზრმა გაუელვა – თვითონვე შეესყიდათ "თავისი" მაღაზია და ნამდვილად თავისად ექციათ იგი. საერთო კრებამ ერთხმად გადაწყვიტა და 1994 წლის მარტიდან მაღაზია მთლიანად მისი კოლექტივის განმგებლობაში გადავიდა.

დაიწყეს იმით, რომ შენობა შეარემონტეს, შეალამაზეს, სახელიც უფრო ადამიანური დაარქვეს. დირექტორის პატივსაცემად მისი შვილიშვილის სახელი "სალომე" უწოდეს.

დღეს მაღაზიის კოლექტივი თანამოაზრეთა ერთი მთლიანი, შეკრული გუნდია.

– სახელმწიფოც კმაყოფილი გვყავს, თანამშრომლებიცა და, რაც მთავარია, მომხმარებელიც, – განაგრძო ჩვენთან საუბარი დირექტორმა. – ვიცი ბევრი მაღაზია რომ თავს არიდებს საჯარო საუბარს. მაგრამ ჩვენ საჩუმათო არაფერი გვაქვს. როგორც გითხარით, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მყიდველი კმაყოფილი გვყავდეს.

საერთოდ, მოსაგონარიც ბევრი აქვს დირექტორს. იგი აქ უკვე ოცდასამი წელიწადია მუშაობს. რომ მოვიდა, მაშინ მუშაობა ნამდვილად ჩავარდნილი იყო. მაღაზია გეგმასაც კი ვერ ასრულებდა. მონდომებამ და ცდამ თავისი გაიტანა და მ[illegible] ჩამორჩენილებიდან მოწინავეთა რიგებში გადაინაცვლა. ზემოთაც ვთქვით, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, თვითშესყიდვაზე გადავიდა და კიდევ უფრო წინ წაიყვანა საქმე.

დღეს? დღეს, როგორც ბატონი ანზორი ამბობს, მუშაობა გაძნელდა. მართალია, სრული თავისუფლება აქვთ, მაგრამ ყოფილი კავშირების გაწყვეტამ ახალი სირთულეები გააჩინა საქონლის შემოზიდვის ნიშნით.

– თუ ღმერთმა ქნა და გზა გაიხსნა, მაშინ ძალიან შეგვეწყობა ხელი. – ამბობს ბატონი ანზორი და ხვდებით სიტყვებს "გზა გაიხსნა"-ს ქვეშ აფხაზეთის შემოერთებას და საქართველოს გამთლიანებას რომ გულისხმობს.

ჯერჯერობით კი მაღაზია იმპორტულ ფირმებს, კერძოდ ბიზნესმენებს უკავშირდება და ას[illegible] ამარაგებს მაღაზიას. ფართო ასორტიმენტი აქვთ – საპალტოე, საკოსტუმე ქსოვილები, შალის საკ[illegible] ბეები, ბამბის ქსოვილები, აბრ[illegible] შუმი. და ყველაფერი სეზონის მიხედვით და ყველაფერი შედარებით იაფად! ეს არის მაღაზიის კოლექტივის დევიზი. საქმის ცოდნა უძევს მას საფუძვლად და ამიტომაც ამართლებს. გამართლება, რა თქმა უნდა, მოგებით გან[illegible] ისაზღვრება. რაც უფრო ნაკლებ ფასს ადებენ თავის საქონელს, მით უფრო სწრაფად იყიდება. სწრაფი საქონელბრუნვა კი მოგების ერთ ერთი წყაროა. ეს კარგად იციან პროფესიონალებმა.

მაღაზია "სალომეში" სწრაფ გამდიდრებას არ აპირებენ. ისინი ფირმის სახელს უფრთხილდებიან და ცდილობენ, როცა შესაძლებელია, შემოტანილი საქონლის ღირებულებას 20%-ის ნაცვლად 10%-ი დაუმატონ, ბრუნვა გაზარდონ, და სახელმწიფოც კმაყოფილი ჰყავდეთ, თვითონაც უკეთესი შემოსავალი გაიჩინონ და, რაც მთავარია, მომხმარებლის ყველა სურვილი შეასრულონ.

ციალა კალმახელიძე

ცვლილებები ბიზნესის გარემოში

გუშინ		დღეს/ხვალ
გადაწყვეტილებებს იღებს საგეგმო კომიტეტი	⇨	გადაწყვეტილებებს იღებს საწარმოს ხელმძღვანელობა
ბიუროკრატიული კულტურა	⇨	მმართველობითი კულტურა
ნელი რეაგირება	⇨	სწრაფი რეაგირება
რეალიზაცია მხოლოდ სსრკ-ს ფარგლებში	⇨	რეალიზაცია "სნგ"+ნებისმიერი ქვეყანა
ძირითადი სახელმწიფო დაკვეთები	⇨	მცირდება სახელმწიფო დაკვეთები
რესურსები იაფად	⇨	რესურსები რეალურ საბაზრო ფასებში
სამინისტროს ბიუროკრატია "ფლობს" საწარმოს	⇨	აქციონერები ფლობენ საწარმოებს
საწარმოს დაფინანსება სახელმწიფოს მიერ	⇨	ბიზნეს-გეგმის ხარისხი განსაზღვრავს დაფინანსებას
ცოტა უცხოელი ინვესტორი	⇨	შედარებით ბევრი უცხოელი ინვესტორი
სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა	⇨	საწარმოები ქმნიან სამუშაო ადგილებს და დოვლათს
საწარმოს ხელმძღვანელობას აკისრია მარტივი ფუნქცია	⇨	საწარმოს ხელმძღვანელობას აკისრია შედარებით რთული ფუნქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

05 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 ტიპი	2 ტიპი	სულ	1 ტიპი	2 ტიპი	სულ					
015	"ფენიქსი-2"	51000	1	0	1	1	0	1	45	45	50955	0.09	65.70
044	"კასპიელექტროაპარატი"	90000	1	0	1	135	0	135	6075	45	83925	6.75	65.70
052	"თეთრი გედი"	30300	0	0	0	0	0	0	0	0	30300	0.00	0.00
053	"ინტერკონი"	100000	12	0	12	3098	0	3098	99136	32	864	99.14	46.72
075	"ქარელის საკონსერვო ქარხანა"	63000	1	0	1	4	0	4	180	45	62820	0.29	65.70
080	"ხურო"	25000	1	1	2	199	350	549	24705	45	295	98.82	65.70
121	"საქმეოლითი"	220000	0	0	0	0	0	0	0	220000	0.00	0.00	0.00
132	"ჯიხა"	42000	5	0	5	997	0	997	41874	42	126	99.70	61.32
141	"რუსთავის ლუდი"	471000	19	6	25	1752	11	1763	79335	45	391665	16.84	65.70
146	"ფოლადკონსტრუქცია"	42000	0	0	0	0	0	0	0	0	42000	0.00	0.00
198	"ბაკმი"	30000	0	0	0	0	0	0	0	0	30000	0.00	0.00
208	"წყალტუბოს ხორცკომბინატი"	42000	3	0	3	934	0	934	41096	44	904	97.85	64.24
241	"კოტეხი"	75000	37	0	37	1694	0	1694	74536	44	464	99.38	64.24
346	"ფოთის მაცივარი"	34000	5	2	7	774	270	1044	33408	32	592	98.26	46.72
350	"საქელექტრომანქანა"	170000	0	0	0	0	0	0	0	0	170000	0.00	0.00
358	"სამგრეღიის ნომ. 2 საკრეს. ქ-ნა"	31000	1	0	1	3	0	3	135	45	30865	0.44	65.70
397	"ელექტრონიკა-94"	20000	10	0	10	859	0	859	19757	23	243	98.79	33.58
431	"ფოთინავთობპროდუქტი"	56000	11	0	11	2355	0	2355	54165	23	1835	96.72	33.58
463	"ლეხურა"	63000	1	0	1	270	0	270	12150	45	50850	19.29	65.70
499	"ერა"	25000	1	0	1	556	0	556	24464	44	536	97.86	64.24
504	"გორგასალი"	35000	1	0	1	777	0	777	34965	45	35	99.90	65.70
581	"მერცხალი"	85000	1	0	1	10	0	10	450	45	84550	0.53	65.70
589	"ბაზალეთის ტბა"	39000	0	0	0	0	0	0	0	0	39000	0.00	0.00
609	"მარაბდა-1994"	81000	2	0	2	110	0	110	4950	45	76050	6.11	65.70
625	"ებას"	300000	2	0	2	201	0	201	9045	45	290955	3.02	65.70
636	"მცხეთა"	135000	7	0	7	3014	0	3014	132616	44	2384	98.23	64.24
704	"ცირკი"	33000	15	0	15	478	0	478	21510	45	11490	65.18	65.70
741	"მუხრანის ღვინო"	21500	1	1	2	477	150	627	21318	34	182	99.15	49.64
752	"პეგასი"	73000	2	0	21	626	0	1626	71544	44	1456	98.01	64.24
	სულ:	2482800	140	10	150	20324	781	21105	807459	33	1675341	32.52	

06 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

ქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 ტიპი	2 ტიპი	სულ	1 ტიპი	2 ტიპი	სულ					
002	"ორიონი"	600000	3	0	3	5811	0	5811	261495	45	338505	43.58	65.70
003	"თბილმარგარინმრეწვი"	444000	17	0	17	11143	0	11143	434577	39	5423	98.77	56.94
007	"ქუთაისის ავეჯი დეტალი"	110000	1	0	1	1	0	1	45	45	109955	0.04	65.70
047	"ელექტროიზოლიტი"	98000	0	0	0	0	0	0	0	0	98000	0.00	0.00
059	"ბიზნეს ცენტრი"	245000	1	0	1	20	0	20	900	45	244100	0.37	65.70
131	"მაუდი"	563000	18	0	18	177	0	177	7965	45	555035	1.41	65.70
143	"გრდემლი"	35000	0	0	0	0	0	0	0	0	35000	0.00	0.00
187	"ავტოშემკეთებელი"	200000	11	0	11	2165	0	2165	97425	45	102575	48.71	65.70
188	"ელვა"	340000	0	0	0	0	0	0	0	0	340000	0.00	0.00
210	"კონცენტრატი"	37700	11	0	11	1603	0	1603	36869	23	831	97.80	33.58
218	"საქსოფმშენდეტალი"	76000	0	0	0	0	0	0	0	0	76000	0.00	0.00
228	"ფერმერი"	19000	2	0	2	343	0	343	15435	45	3565	81.24	65.70
275	"სვირი-1"	26000	10	0	10	1240	0	1240	24800	20	1200	95.38	29.20
288	"საქმანქანა"	64000	0	0	0	0	0	0	0	0	64000	0.00	0.00
312	"დელისი"	132000	20	0	20	3173	0	3173	130093	41	1907	98.56	59.86
338	"გაჩიანი"	43000	2	0	2	955	0	955	42975	45	25	99.94	65.70
347	"ლილოს რკ.ბეტონის 2 ქარხანა"	16000	2	0	2	455	0	455	15925	35	75	99.53	51.10
440	"ლომისა"	126000	0	0	0	0	0	0	0	0	126000	0.00	0.00
471	"საქუნივერსალი"	20000	3	0	3	12	0	12	540	45	19460	2.70	65.70
502	"მინანქარი"	74000	0	0	0	0	0	0	0	0	74000	0.00	0.00
552	"ლოჭინი"	172000	0	0	0	0	0	0	0	0	172000	0.00	0.00
611	"პერლიტი"	132000	0	0	0	0	0	0	0	0	132000	0.00	0.00
612	"საჭე"	14000	0	0	0	0	0	0	0	0	14000	0.00	0.00
623	"საქაგრომანქანა"	83000	4	1	5	21	7	28	1260	45	81740	1.52	65.70
666	"მშენებელი"	18500	0	0	0	0	0	0	0	0	18500	0.00	0.00
668	"თბილისი"	94000	4	0	4	2203	0	2203	92526	42	1474	98.43	61.32
716	"თბილმრეწვმშენი"	39000	2	0	2	871	0	871	38324	44	676	98.27	64.24
721	"ბაგინეთი"	13000	2	0	2	378	0	378	12852	34	148	98.86	49.64
758	"აგრომრეწვბანკი"	1000000	196	1	197	27230	6	27236	980280	36	19720	98.03	36.00
	სულ:	4830200	309	2	311	57801	13	57814	2194286	25	2635914	45.43	

07 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 გიპი	2 გიპი	სულ	1 გიპი	2 გიპი	სულ					
023	"ტყავფეხსაცმელების კომბინატი"	190000	2	0	2	3	0	3	135	45	189865	0.07	65.70
041	"ინდუსტრია-21"	105000	1	0	1	2	0	2	90	45	104910	0.09	65.70
048	"თბილმეორადპოლიმერი"	50000	3	0	3	1044	0	1044	46980	45	3020	93.96	65.70
061	"აფენის ღვინის ქარხანა"	130000	3	0	3	3	0	3	135	45	129865	0.10	65.70
067	"სიხარული"	27000	9	0	9	1106	0	1106	26544	24	456	98.31	35.04
076	"ავტომობილი-3"	123000	0	0	0	0	0	0	0	0	123000	0.00	0.00
088	"კორომი"	65000	1	0	1	1500	0	1500	64500	43	500	99.23	62.78
125	"სხმული"	235000	3	0	3	30	0	30	1350	45	233650	0.57	65.70
136	"ქუთაისის მექანიკური ქარხანა"	28000	2	0	2	620	0	620	27900	45	100	99.64	65.70
139	"მშენმექანიზაცია"	42500	0	0	0	0	0	0	0	0	42500	0.00	0.00
140	"მშენინვესტი"	29000	0	0	0	0	0	0	0	0	29000	0.00	0.00
148	"ლითონი"	37000	0	0	0	0	0	0	0	0	37000	0.00	0.00
152	"კულაში"	44900	0	0	0	0	0	0	0	0	44900	0.00	0.00
157	"ავტორემმშენმონტაჟი"	94000	0	0	0	0	0	0	0	0	940000	0.00	0.00
191	"პირველი სტამბა"	20700	6	0	6	835	0	835	20040	24	660	96.81	35.04
243	"თბ. მოდელური ფეხსაცმლის ფ-კა"	64000	20	0	20	3149	0	3149	62980	20	1020	98.41	29.20
261	"ვიტა"	143000	5	0	5	15	0	15	675	45	142325	0.47	65.70
311	"საქფეთქმრეწვი"	24000	0	0	0	0	0	0	0	0	24000	0.00	0.00
321	"თუნუქის ტარა"	4000	0	0	0	0	0	0	0	0	4000	0.00	0.00
361	"ახმეტის ბიოქიმიური ქარხანა"	42000	5	0	5	1050	0	1050	42000	40	0	100.0	58.40
383	"სამშენებლო ტრესტი ნომერი 2"	155000	2	0	2	3240	0	3240	145800	45	9200	94.06	65.70
437	"ჩიხურა"	79000	0	0	0	0	0	0	0	0	79000	0.00	0.00
516	"კრისტალოტექნიკა"	63000	1	0	1	2	0	2	90	45	62910	0.14	65.70
608	"ოჯალეში"	21000	1	0	1	500	0	500	21000	42	0	100.0	61.32
620	"დელფინი"	21000	2	2	4	467	570	1037	20979	37	21	99.90	54.02
642	"ერთობა"	112000	0	0	0	0	0	0	0	0	112000	0.00	0.00
663	"სპეცავტომატიკა"	19000	0	0	0	0	0	0	0	0	19000	0.00	0.00
725	"მძლეოსნობის კომპლექსი"	32000	3	0	3	751	0	751	31542	42	458	98.57	61.32
745	"ქიზიყი"	275000	10	0	10	2512	0	2512	113040	45	161960	41.11	65.70
	სულ:	2275100	79	2	81	16829	570	17399	625780		1649320	27.51	

ფელეტონის მაგიერ

საბაზრო ურთიერთობას ნაპრალიც აქვს

სურვილი რეალობად იქცა. საქართველოში საგრძნობლად გაუმჯობესებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა ვითარებამ, კრიმინალური სიტუაციების მკვეთრად გაუმჯობესებამ შექმნა პირობა მყარი ფულადი ერთეულის – ლარის შემოსაღებად. იგი უკვე პირველ ნაბიჯებს დგამს და მოქმედებს, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი მის სიმყარეს ვერ უზრუნველყოფს. საჭიროა მისთვის ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა.

ეკონომიკური გასაგებია, ეს მორალური მხარდაჭერა რაღას ნიშნავსო, შეიძლება იკითხოს ვინმემ, პასუხი მარტივი იქნება – ლარს უნდა პატივი ვცეთ და მის ღირსებას გავუფრთხილდეთ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სპეციალისტები გვაჯერებენ, ყოველ შემთხვევაში ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ ლარის სიმტკიცისათვის ბრძოლა არის პატრიოტული, მამულიშვილური საქმე. მართლაც ასეა და სადავო არ არის, მაგრამ მხოლოდ ცალკეული მოქალაქეების პატრიოტული გრძნობა ლარის სიმყარეს დიდად ვერ უზრუნველყოფს. წაადგება, მაგრამ საძირკვლად ვერ დაედება, თუ მაკონტროლებელმა ორგანოებმა მეტი ფხა, მოქნილობა და პრინციპულობა არ გამოიჩინეს.

ამის აუცილებლობა კი უკვე იგრძნობა. ლარის შემოღების პირველსავე დღეს – 25 სექტემბერსავე გახდა საგრძნობი.

კვრძოდ, 500 რუბლიანი ნაყინი 20 თეთრამდე გაძვირდა, 1000 რუბლიანი სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის "სიამოვნება" 30 თეთრად შეფასდა. არადა 1000 რუბლი ოფიციალურად 25 თეთრის ტოლფასად გამოცხადდა.

საბაზრო ურთიერთობას თუ ეკონომიკას თავისი კანონები აქვსო, დაგვარიგებენ ალბათ. ვუპასუხებთ: საბაზრო ურთიერთობებს კანონებთან ერთად მრავალი ნაპრალიცა აქვს, რომელშიც მყიდველის გადახეხვა კომერციული სტრუქტურებისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. თანაც თბილისის ქუჩებში მოსრიალე ტაქსები და ვარდებივით "გაფურჩქვნილი" ჯიხურები არ არიან ე. წ. "შავი ბაზრის" ობიექტები, მათზე კონტროლი შესაძლებელიცაა და საჭიროც.

აქა-იქ ფინანსურმა დაწესებულებებმა თანხების გაცემის დროს მათი დამრგვალებაც ითხოვეს თეთრის უქონლობის გამო. ეს საშიში სინდრომია. ვაი თუ მასობრივი დაავადება გამოიწვიოს.

დროზეა მისაღები პროფილაქტიკური ღონისძიებები იმის გათვალისწინებით, რომ თავში გაჩენილი ბზარი ბოლოში ძნელად ამოსავსები იქნება.

გ.თეთრუაშვილი.

ცნობები აღგილებიდან

გასაკეთებელი კიდევ ბევრია

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ჭიათურის საქალაქო განყოფილების უფროსი ბატონი გია ასანიძე გვესაუბრა აქ მიმდინარე პრივატიზების პროცესის შესახებ: პირველ რიგში მოხდა ტრანსპორტის ნაწილობრივი პრივატიზება. ეს შეეხო საწარმოებისათვის ეკონომიკურად მიზანშეუწონელ სატრანსპორტო საშუალებებს. შემდეგ კერძო მფლობელობაში გადაეცა ბენზინგასამართი სადგურები აუქციონის წესით. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების აბსოლუტური უმრავლესობა აქციონირებას დაექვემდებარა. დაფუძნებული და რეგისტრირებულია თხუთმეტამდე საწარმო. რაც შეეხება დარჩენილ საწარმოებს მათი ნუსხა წარდგენილია სამინისტროში და შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ მოხდება მათი პრივატიზება.

ვფიქრობ, ჭიათურას თავი
სი ბუნებრივი რესურსებიდა
გამომდინარე, ცუდი მომავ
ლი არ უნდა ჰქონდეს. მოს
ალოდნელია დიდი დაინტერ
სება" ჭიათურმარგანეცის" ფ
სალიეთის მარმარილოს აქცი
ბის შეძენაზე უცხოელი ინვეს
ტორების მიერ.

და ბოლოს, გია ასანიძ
დიდი მადლიერების გრძნ
ბით მოიხსენა ქონების მარ
თვის სამინისტროს ხელმძღ
ანელობა, რომლებიც დიდ
უწყობენ ხელს რაიონში პრი
ტიზაციის პროცესის დაჩქა
ბას.

ამასთან ერთად ისიც ი
ვა, რომ აქ ჯერ კიდევ არ არ
მიღწეული პრივატიზების ს
სურველი ტემპები, რომელ
აუცილებლად უნდა დაჩქარდ
რადგან მონდომება არის, შეძ
გიც იქნება.

ელიზო კაპანაძ
ჭიათურ

№15 აუქციონი

განაცხადები მიიღება 1995 წ. 11 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის 17 საათამდე.
1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარს.
აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.

№	აუქ	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამოშვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა	% საწესდებო კაპიტალთან	ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში	აქციათა გამოშვების კოდი	სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავმიწის ფართობი-ჰა
1.	XV	106 "ექსგრა" (ჩხოროწყუს ჩაის ექსპ.კ-ტი)	68514	27000	39.41	39473.68	550-106	ჩხოროწყუ, სოფ.ხაბუმე	ნ.ლემონჯავა	2
2.	XV	155 "დუღაბი-94" (თბ.ქალ.მმ.№2 სახლმშ.ქ.)	350165	165000	47.12	241228.1	238-155	კაიროს 42,ტ.711214	ზ.ჭუმბურიძე	13
3.	XV	182 "მშენგრ ანსი" ("საქმშენგრ ანსი")	312969	125000	39.94	182748.5	237-182	ვაშლიჯვარი, პსარაჯიშვილის 21ტ517553	ზ.ხვედელიძე	
4.	XV	197 "მეგალოპლასტიკა" (საქმრეწვგარაფეშ)	324269	146000	45.02	213450.3	230-197	შეშის ქ.38	მ.უგულავა	
5.	XV	235 "მარელისი" (ხარაგ.მარელ.გრეხ.ავეჯ.ფ.)	264548	121000	45.74	176900.6	590-235	ხარაგაული,სოფ.მარელისი	კ.მაღრაძე	2.75
6.	XV	252 "ლოპოგა" (თელავის მარმარილოს კ-ტი)	166091	75000	45.16	109649.1	250-252	თელავი, ბესიკის 2, ტ.32081	თ.მიქაშავიძე	88
7.	XV	262 "ქუთაისის №4 ა საგრანსპორტო საწ)	218042	98000	44.95	143274.9	480-262	ქუთაისი, ავტომშენებლის 37, ტ.64257	გ.ხახალეიშვილი	4.7
8.	XV	332 "ტეხურა" (სენაკ.№5 სამშ.ტრ.Xმმკ)	52086	19000	36.48	27777.78	430-332	სენაკი, ჭავჭავაძის 3	ვ.ღვინჯილია	1.61
9.	XV	352 "მაღლივმშენი" (კარკასულ-პანელოვ. ქ-ნა)	600701	289000	48.11	422514.6	230-352	ხანძთელის 4		5
10.	XV	355 "ვაზისა" ("სამგრ" თერჯ.სამრ.კ.ფ. "ვაზისა")	849007	405000	47.7	592105.3	260-355	თერჯოლა, იმერეთის 5, ტ.21813	ბ.რობაქიძე	
11.	XV	427 "სამეურნეო საქონელი" (სავაჭრო სახლი)	144763	70000	48.35	102339.2	234-427	ფონიჭალას დასახლ.	გ.ერგემლიძე	1.2
12.	XV	433 "გრანსფერი" (პოლიგრაფ.ავტოსაგრ.საწ.)	67179	31000	46.15	45321.64	238-433	ახალდიანის II შესახ. 10	ა.პეტრიაშვილი	1.9
13.	XV	435 "ირაო" (თბ.ტურიზმ.ავტომეურნეობის გ-ბა)	237765	112000	47.11	163742.7	232-435	ქავთარაძის 8	გ.წიფწივაძე	4.5
14.	XV	436 "სალიეთი" (ჭიათ.სალ.მარმარ.მაღარ.სამმ.)	133422	51000	38.22	74561.4	580-436	ჭიათურა,ს.კაცხი, ტ.53736	მ.ხვედელიძე	16
15.	XV	441 "ბურჯი" (სახლმთშენ.კ-ტი №2)	39020	14000	35.88	20467.84	238-441	კაიროს 21, ტ.710478	ა.ზედელაშვილი	
16.	XV	443 "ტურისტი" (ტურ.დეპ-ს №4 ასს)	157899	72000	45.6	105263.2	480-443	ქუთაისი, ბუკიას 68	რ.ჯულელი	1.5
17.	XV	446 "ლაგოდეხი" (სამრეწვ.კომ.ფ-მა)	155913	71000	45.54	103801.2	290-446	ლაგოდეხი, სოფ.ვარდისუბანი	თ.ლაცაბიძე	4
18.	XV	447 "მარგვილი-94" (მარგვილის ასს)	38714	13600	35.13	19883.04	330-447	მარგვილი, მშვიდობის 198	ნ.ჭიჭაღუა	2.2
19.	XV	448 "არგო" (ფოთის ჩაის კ-ტი)	1126058	540000	47.95	789473.7	460-448	ფოთი, კოკაიას ხეივანი 1, ტ.55910	ზ.ჯამბურიას	6.5
20.	XV	469 "ჭყონდიდი" (მარგვ.დიდი ჭყონ №1 ჩ.ფ.)	44986	18000	40.01	26315.79	330-469	მარგვილი, ს.დიდი ჭყონი	ქ.ჯეჯელავა	4
21.	XV	474 "ავტოტექნიკა" (ზუგდ.მც.საწ."ენგური")	131823	60000	45.52	87719.3	220-474	ზუგდიდი, ჯანაშიას 1.	თ.ფაცაცია	
22.	XV	476 "ჩაის ფირმა ყულიშკარი" (ზუგ.ყ.ჩაის.ფ)	79572	36000	45.24	52631.58	220-476	ზუგდიდი, ს.ყულიშკარი	მ.დარასელია	
23.	XV	478 "ჩაის ფ-მა "ექსგრა" (ზუგდ №2 ჩაის ფ)	45694	20000	43.77	29239.77	220-478	ზუგდიდი, სოხუმის ქ.80 ტ.22487	ვ.ქვარაია	
24.	XV	479 "ზედა ეწერ.ჩაის აგროსამრ. კ-ტი (ზუგდ)	551466	252000	45.7	368421.1	220-479	ზუგდიდი, ზედა ეწერი	ს.სოსელია	
25.	XV	480 "საგვ.ავტოსაგრ.ფ-მა №1 (ზუგდ)	199988	88500	44.25	129386	220-480	ზუგდიდი, პუშკინის 102, ტ.22420	გ.ემუხვარი	
26.	XV	525 "ცუმი" (ცენტრალური უნივერმაღი)	145744	64000	43.91	93567.25	239-525	მარჯანიშვილის 7, ტ.952503	თ.ცინცაძე	
27.	XV	541 "ტრანსპორტელი" (სენაკის სამგზ.ასს)	91972	37500	40.77	54824.56	430-542	სენაკი,ჭყონდიდელის 7, ტ.25158	გ.ჯანჯღავა	2
28.	XV	542 "აისი" (სენაკ.სოფელ №2 სამშ.სარ.ტრ)	419489	147000	35.04	214912.3	430-542	სენაკი, ჭყონდიდელის 5, ტ.21734	ი.გაბედავა	5
29.	XV	544 "ფოთი ავტოსერვისი" (ფოთი.საგვ.ასს)	125690	49000	38.98	71637.43	460-544	ფოთი, ტაბიძის 7, ტ.53484	გ.კორტავა	1.8
30.	XV	604 "ბაღდათი" (ბაღდათ.ღვინ.წარმ.სახ.სკ "ბაღი")	117103	57000	48.68	83333.33	110-604	ბაღდათი, ნინოშვილის 27	გ.ასათიანი	3.07
31.	XV	610 "ჯვარი-94" (ენგურჰეს.მშენ.მაგ.ტექნ.მომარს)	78028	35000	44.86	51169.59	510-610	წალენჯიხა, ჯვარი, რუსთაველის 1	ჯ.ჭითანავა	4.5
32.	XV	613 "სახლმშენებელი კ-ტი" (რუსთავი)	166774	74000	44.37	108187.1	390-613	რუსთავი, ჯაფარიძეების 5, ტ.142590	გ.სირბილაძე	4
33.	XV	621 "ოკამი" (ოკამის ღვინის ქარხანა)	285521	139000	48.68	203216.4	280-621	კასპი, სოფ. ოკამი	გ.გოგოლაური	
34.	XV	622 "ბიზნესცენტრი "აგრომონტაჟი" (გბა "საქაგრომი)	221416	87000	39.29	127193	237-622	თამარაშვილის 15ა	თ.ხოსიტაშვილი	24.9
35.	XV	624 "რეა" (სამკერვალო ფაბრიკა)	120892	46000	38.05	67251.46	232-624	წყნეთი, არსენას 10	ს.დონაძე	
36.	XV	627 "ცემენტმზიდი-94" (რუსთ.№2 საგვ.ასს)	22918	9000	39.27	13157.89	390-627	რუსთავი, მშენებელთა 72, ტ.193329	ნ.ზაზაშვილი	0.7
37.	XV	630 "აცანა" (ლანჩხუთ-აცანის ჩაის ფ-კა)	54486	23000	42.21	33625.73	300-630	ლანჩხუთის რ-ნი, სოფ.აცანა	ა.ტუღუში	4.5
38.	XV	652 "მშენებლის იმედი" ("საქსპეცმექანიზ". გორ)	60359	30000	49.7	43859.65	150-652	გორი, ხაშურის გზატკ. მე-2 კმ.	ა.ათუაშვილი	
39.	XV	669 "საქსაშენმეცნიერება" (სამ.მას.ს.კინ.და ქ-ნა)	158788	69000	43.45	100877.2	232-669	ყაზბეგის ჩიხი 32/34	დ.გაგუნაშვილი	1.5
40.	XV	747 "ბოლნის.ნაეთობპროდ." (ბოლნ.ნავთობბაზა)	58579	21000	35.85	30701.75	120-747	ბოლნისი, ნავთობბაზის ჩიხი 1, ტ.22377, 22101	გ.კვერნაძე	4.97
41.	XV	748 "გრაქტები" (თბ №3 საგვ.ასს)	403462	185000	45.85	270467.8	234-748	გულიას 1, ტ.722554	ე.ციცხვაია	
		სულ:	13797968	5809960		8494094				464.59

№16 აუქციონი

განაცხადები მიიღება 1995 წ. 18 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის 17 საათამდე.
1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარს.
აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.

№	აუქ	სააქციო სა ოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმზამდე)	გამოშვებული აქციების რაოდეზობა	ც აუქციოზ ე გასაყიდი აქციების რაოდეზობა	% საწესდებო კაპიტალთან	ზომიზალური ღირებულება აშშ დოლარებში	აქციათა გამოშვების კოდი	სააქციო სა ოგადოების მისამაროი და ტელეფოზი	გეზერალური დირექტორი	დაკავ. მიწის ფართობი-ჰა
1.	XVI	196 "ახალციხის ელექტროძრავა"	40689	15500	38.09	22660.82	080-196	ელე, მშვიდობის 1, ტ.423	ა.ჩითარიშვილი	
2.	XVI	445 "შანქანათმშენებელი" (ლაგოდეხ.მანქანათმშ.ქნა)	131350	62000	47.2	90643.27	290-445	ლაგოდეხი, ჭავჭავაძის 132, ტ.226611	.დარჩიაშვილი	5
4.	XVI	458 "იმედი" (მარგვილის საკოზსერვო ქ-ზა)	53579	23000	42.93	33625.73	330-458	მარგვილი, მარქსის 53, ტ.21110	რ.გორო ია	2
5.	XVI	475 "ცაიშის ჩაის ფაბრიკა" (უგდ)	74520	32000	42.94	46783.63	220-475	უგდიდი, სოფ.ცაიში	ა.შერო ია	
6.	XVI	505 "ოდიში" ("საქზავეთობპრ." სეზაკ.კ.შ.ს.)	203387	97000	47.69	141812.9	430-505	სეზაკ. სოფ. ზოსირი, ტ.21011	ა.ოდისარია	4.44
7.	XVI	508 "ელექსირი" (ჩხოროწყ. ჩაის კომბინატი)	59667	28000	46.93	40935.67	550-508	ლ.ჩხოროწყუ	ლ.მიქაია	1
8.	XVI	513 "კასპიცემეზგი" (კასპ.ცემეზგ.ქ-ზა)	3242199	1240000	38.25	1812865	280-513	კასპი ზიკოლაძის 2, ტ.22931	ს.ხუციშვილი	43
9.	XVI	515 "სამთოქიმია" (სპგ "სამთოქიმ" სათ.ორგ.)	452067	174000	38.49	254386	231-515	წერეთლის გ.142	ზ.ცხაკაია	
10.	XVI	519 "ცაზა" ("სამთ.ქ" ლეზგეხი, ცაზის სამთქიმ.ქ.)	60133	22000	36.59	32163.74	310-519	ლეზგეხი, სოფ.ცაზა	გ.ოზიაზი	
11.	XVI	535 "ქუთზავეთობპროდუქტი" (ქუთ.კ.შ.ს.)	27047	11000	40.67	16081.87	480-535	ქუთაისი, ორახელაშვილის 14	ლ.ქარქაშაძე	
12.	XVI	539 "კოზ-კარი" (წალეზჯიხის საკოზსერვო ქ-ზა)	35781	16000	44.72	23391.81	510-539	წალეზჯიხა, ხობელიას 2	გ.ჭაზტურია	1.25
13.	XVI	570 "მრეწველი" (თერჯოლ.სამრ.საწ.კ-ტი)	110763	48000	43.34	70175.44	260-570	თერჯოლა, სოფრომაძის 3	ზ.ზოზგაძე	
14.	XVI	571 "თოლია" (ფოთის ტრიკოტაჟ.სამკერ.ფ.)	349367	168000	48.09	245614	460-571	ფოთი, 8 მარტის 40, ტ.56594	ი.ზოგიჩაიშვილი	2.5
15.	XVI	582 "ავტომობილი" (თელავ.საგ.აპსაგრ.საწ.)	82848	32000	38.62	46783.63	250-582	თელავი, დავითაშვილის 4	ბ.ალავერდაშვილი	3.35
16.	XVI	583 "შევარდენი" (წყალგ. სამგ .ასაგ.საწ.)	121440	48000	39.53	70175.44	530-583	წყალტუბო, ქუთაისის 7, ტ.22280	მ.ახვლედიანი	2.1
17.	XVI	584 "სხივი" (წყალტუბ.საწ.ავტომოტოსერვისი)	75357	33000	43.79	48245.61	530-584	წყალტუბო, ტბიძის II შესახვ. 1, ტ.24961	ვ.ჯაზგავაძე	0.18
18.	XVI	585 "ავტოტრანსპორტი" (ავტომრეწვტრანს.ასს)	208049	95000	45.66	138888.9	530-585	წყალტუბო, სოფ.მაღლაკი	მ.ღოლაბერიძე	7.3
19.	XVI	590 "უბისა" (ხარაგაულ.უბისის საკოზს.ქ-ზა)	33700	16000	47.48	23391.81	590-590	ხარაგაული, სოფ.უბისა	თ.ბამცემლიძე	
20.	XVI	593 "საქეთილითი" ("სამთოქიმ" კასპ.წარმ.)	260182	102000	39.2	149122.8	280-593	კასპი, სოფ. ემო ხაზდაკი	ზ.ვაშაკიძე	
21.	XVI	601 "ობჩა" (ყაღდათ.ღვინ.წარმ.სახ.სკ "ობჩა")	56292	25000	44.41	36549.71	110-601	ბაღდათი, სოფ.ობჩა	დ.სოფაძე	1.1
22.	XVI	639 "თბილტრანსექსპედიცია"	177235	81000	45.7	118421.1	236-639	ედა ზის 4, ტ.660866	რ.ბერაძე	
23.	XVI	647 "იმედი" ტორ(მრავალდარგოვანი კომბ. ფირმა)	60785	25000	41.13	36549.71	150-647	გორი, ერთობის 82	ე.კურტაზიძე	1.2
24.	XVI	654 "იუპიტერი" (ტორის მაცივარკომბინატი)	248458	96000	38.64	140350.9	150-654	გორი, შიდ.ლისის გ	გ.სამხარაძე	4
25.	XVI	659 "იმედი" (გურჯაანი მაგერ.მომარაგ.ბა ა)	54585	25000	45.8	36549.7	160-659	გურჯაანი, ჭავჭავაძის 12, ტ.22372	მ.ძღებრიშვილი	1.2
26.	XVI	662 "სეზაკი-93" (სახელმწ.სავაჭრო საწ.)	73841	27000	36.57	39473.68	430-662	სენაკი, რუსთაველის 252, ტ.21320, 21850	თ.ხოჭოლავა	
27.	XVI	665 "იმსგრუმეზგეზგრი" (საიმეჯექმიკცეზტრი)	35858	16000	44.62	23391.81	237-665	საბურთალოს 32, ტ.381469	შ.ქოიავა	
28.	XVI	681 "ავტონეოსგრუქცია" (საქხიდროტ.მშრკანაკ)	109936	44000	40.02	64327.49	238-681	ქიაჩმარაულის 37,	თ.თაედგირიძე	
29.	XVI	685 "ავტოსერვისი-94" (თბავტომოტოსერვ.საწ.)	83499	38000	45.51	55525.56	238-685	თამარ მეფის გამ .14	ო.მოსეშვილი	
30.	XVI	692 "საგავტოგრაშსი-2" (თბილის №2 საგთ.ასს)	70734	31000	43.83	45322.64	140-692	გარდაბნის რ-ნი, რუსთავის ვზატკ მე-15 კმ.	გ.ღოზდუაშვილი	
31.	XVI	696 "გუმა" (თბ.კომ.ფ-ის ქსოვ.რესურს.ბა ა)	138155	63000	45.6	92105.26	233-696	სამგორის ჩიხი №3, ტ.717736	გ.რუსიშვილი	..7
32.	XVI	697 "დარიალი" (ყაზბეგის გერისგული კომპლ.ქსი)	177454	86000	48.46	125731	490-697	დაბა ყა ბეგი	ტუჩამეილი	
33.	XVI	701 "საზაპირო-10" (ავტოგექმომსახ.სად. №10)	139573	66000	47.29	96491.23	236-701	ქსნის ქ.	თ.სოსელია	
34.	XVI	703 "ა საგ.საწ.ეამლიჯვარი" (საგვ.ასს №10)	119149	54000	45.32	78947.37	237-703	გოძიაშვილის 24	გ.ბერაძე	
35.	XVI	744 "უნივერსალი" (თელეთ.ექსპ.ქ-ზა)	28585	12000	41.98	17543.86	140-744	გარდაბნის რ-ნი, სოფ.თელეთი	გ.გ ირიმეილი	1.5
36.	XVI	746 "თბილისის ღვა" (თბ.სავაჭრ.საწ.კომ.ფ-მა)	37883	16000	42.24	23391.81	236-746	თბილისის ღვა	გ.გაბუნია	0.8
37.	XVI	759 "დმაზისური ყველი" (საწ.კომ.ფ-მა "დმაზ.ყვ")	149421	71000	47.52	103801.2	180-759	დმაზისი, კოსტავას 31, ტ.22587	რ.დევნო ამეილი	
38.	XVI	763 "ავტოფირმა №6" (თბ №6 საგვ.ასს)	76251	32000	41.97	46783.63	238-763	თვალჭრელიძის 4	ლ.ბახტურიძე	
39.	XVI	769 "კულტსამეურნეო საქონელი" (სავაჭრო ფირმა)	104864	50000	47.68	73099.42	234-769	გულიას 1	მ.სვიზტრაძე	0.27
40.	XVI	780 "თამარისის მეფრიზეველობის ფაბრიკა"	1448064	700000	48.34	1023392	120-780	ბოლნისი, სოფ.ცურტავი	ა.ჩალაძე	103
41.	XVI	783 "მეტეხის კერამიკა" (მეტეხ.კერამიკ.აგურის ქ-ნა)	1125362	430000	38.21	628655	280-783	კასპი, სადგური მეტეხი	ო.ჭეიშვილი	8
		სულ:	24261492	10368460		15158567				669.28

№17 აუქციონი

განაცხადები მიიღება 1995 წ. 25 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრის 17 საათამდე.
1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარს.
აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.

№	აუქ	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამოშვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა	% საწესდებო კაპიტალთან	ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში	აქციათა გამოშვების კოდი	სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავმიწის ფართობი-ა
1.	XVII	38. "იმერეთი" (ქუთ. სამკერვალო გ-ბა)	451010	186000	41.24	271929.8	480-038	ქუთაისი, ლ. ასათიანის 119, ტ 32648	მ. სიმონიძე	2.4
2.	XVII	254 "კომფორტი" (სახელმწ. სავაჭრო საწ.)	163818	68000	41.51	99415.2	237-254	თბილისი, ვაშლიჯვარი-59, ტ 513356	ო. ბრეგვაძეს	0.53
3.	XVII	335 "საპოვნელა" (ჭიათურ. სახ. სამრ. ფ-მა)	56746	20000	35.24	29239.77	580-335	ჭიათურა, 9 აპრილის 99, ტ 53610	მ. მოღებაძე	0.71
4.	XVII	428. "ბინათმშენებელი" (სახლთმშენ. კ-ტი 5)	319806	126000	39.4	184210.5	238-428	კაიროს 38	ჯ. ხაზარაძე	6.5
5.	XVII	429. "იორის რკინა-ბეტონ. ნაკეთ. ქ." (საგარეჯ.)	258847	124000	47.9	181286.5	400-429	საგარეჯო, სადგური იორი	გ. ოდიკაძე	3.5
6.	XVII	430. "თვალი" (საგარეჯ. საბურავ. შემკეთ. ქ-ნა)	110238	39000	35.38	57017.54	400-430	საგარეჯო, კოსტავას 17	მ. გილამვილი	
7.	XVII	432. "კლდეკარი" (კასპ. სპეცმოძრ. მექ. კოლ.ორგ)	90768	38000	41.86	55555.56	280-432	კასპი, წულუკიძის 4	აბაშიძე	1.45
8.	XVII	449. "ფოთის ჰიდრომექანიზაც. მანქანათმშ. ქ-ნა"	376181	173000	45.99	252924	460-449	ფოთი, ხობის ქ 7, ტ55695	გ. ხარჩილავა	7.5
9.	XVII	459. "კოლხეთი" (მარტვილ № 2 ჩაის ფ-კა)	225060	109000	48.43	159356.7	330-459	მარტვილი, სოფ. ქვედა ნაგვაზაო, ტ. 53610	მ. მოღებაძე	1.8
10.	XVII	461. "ვედიდკარი" (ვედიდკ. აგროკომბინატი)	104351	39000	37.37	57017.54	330-461	მარტვილი, სოფ.ვედიდკარი, ტ. 21412	ნ.ხარებავა	1302
11.	XVII	486. "მშენებელი" (ზუგდ. №12 სამშ. ტრესტი)	497555	237000	47.63	346491.2	220-486	ზუგდიდი, მოსკოვის 5	დ. ქუჩულორია	
12.	XVII	487. "აგროკომბინატი დარჩე" (ზუგდ. დარჩელი)	619365	279000	45.05	407894.7	220-487	ზუგდიდი, სოფ.დარჩელი	რ. ცაავა	
13.	XVII	489. "მარტვილი № 1 ჩაის ფაბრიკა	52944	23000	43.44	33625.73	330-489	მარტვილი, თავისუფლების 18	თ. გაბისონია	1.8
14.	XVII	491. "ზუგდიდნაეთობი" (ზუგდიდ. ნავთობბაზა)	155643	59500	38.23	86988.3	220-491	ზუგდიდი, სოფ. ინგირი	შ. ქირია	0.4
15.	XVII	492. "თბილსრესმშენი" ("თბილსრ." სამშ. სამმ)	209517	99000	47.25	144736.8	140-492	გარდაბანი, თბილისის სრესი, ტ. 932161	გ. მესხი	18
16.	XVII	494. "ჰიდროსპეცმშენი" (ენგურ. სპეც. სამმართვ.)	70270	28000	39.85	40935.67	510-494	წალენჯიხის რ-ნი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის 4	ვ. სამუშია	1.2
17.	XVII	495. "ნაკიფუ" (წალენჯიხ. ნაკიფუს ჩაის ფ-კა)	221892	106000	47.77	154970.8	510-495	წალენჯიხა, სოფ. ნაკიფუ	ფ. კვარაცხელია	4.6
18.	XVII	500. "წყალტუბო" (წყალტ. ღვინ. წარმ. სამრ. კ. ფ.)	466863	224000	47.98	327485.4	530-500	წყალტუბო, სოფ. მაღლაკი, ტ. 23409	თ. გოდუაძე	5.2
19.	XVII	506. "მშვილდოსანი" (თბილქალაქმშ. № 1 სამმ.	92224	33000	35.78	48245.61	231-506	წერეთლის გამზ. 57		
20.	XVII	509. "საქტეშენიტი" (ტყიბულ. ფ. "საქტეშენ.")	124845	44000	35.24	64327.49	450-509	ტყიბული, სოფ. კურსები		22.5
21.	XVII	521. "ენგურქაღალდკომბინატი" (ზუგდ.)	4828041	2297000	47.58	3358187	220-521	ზუგდიდი-2, ჯანაშიას 1, ტ. 24884	მ. ნაჭყებია	23.5
22.	XVII	522. "ნარაზენის ჩაის ფაბრიკა" (ზუგდიდი)	50248	18000	35.82	26315.79	220-522	ზუგდიდი, სოფ. ნარაზენი, ტ. 25742	ა. არახამია	
23.	XVII	524. "კახათის ჩაის ფაბრიკა" (ზუგდიდი)	80455	36000	44.75	52631.58	220-524	ზუგდიდი, სოფ. კახათი, ტ. 24843	ვ. დარასელია	
24.	XVII	527. "ეკოსპეცმშენი" (ტრესტი "საქსპეცმშენი")	111680	41000	36.71	59941.52	232-527	ნუცუბიძის 56, ტ. 391256	გ. ჩახვაძე	2.6
25.	XVII	529. "მიწისქვეშმშენი" (საქქალაქმშ-ს სპეც. ტრ.)	83557	32000	38.3	46783.63	235-529	ძმები გარიშვილების 7		
26.	XVII	530. "ტრანსპორტელი" (ხონის ა/სატრ. საწ.)	51255	19000	37.07	27777.78	620-530	ხონი, ჭავჭავაძის I შესახვ. 2, ტ. 21813	ჯ. სულაბერიძე	1.2
27.	XVII	531. "იმერეთი-1" (ზესტაფ. სპეც. სამშ. საწ, გ-ბა)	521711	229000	43.89	334795.3	210-531	ზესტაფონი, ტ 53299, 58684	რ. ჩინჩალაძე	14.5
28.	XVII	536. "ქუთაისის კომკურა ამწეების სამმ-ლო"	43612	18000	41.27	26315.79	480-536	ქუთაისი, 9 აპრილის 5, ტ. 30210	ზ. ქაროსანიძე	0.08
29.	XVII	537. "ჰიდრომშენებელი" (საქჰიდროენერგომშენი)	192608	70000	36.34	102339.2	480-537	ქუთაისი, გუგუნავას 20, ტ. 62491	თ. იამანიძე	8
30.	XVII	547. "თეძამი" (სამთო ქიმ. აეტომობ. აკუმლიატ. ქ-ნა)	216927	76000	35.03	111111.1	280-547	კასპი, სოფ. თეძამი	ა. გოგიაშვილი	
31.	XVII	550. "ჯვარი" (ჯვარის აგროსამრეწვ. კომბინატი)	76461	33000	43.16	48245.61	510-550	წალენჯიხა, ჯვარი	დ. ჭანტურია	2.75
32.	XVII	554. "აეტო-94" (აგარის საგვირთ. ასს)	55787	22500	40.33	32894.74	470-554	ქარელი, დ. აგარა, სტალინის 60, ტ. 238.299	დ. ჩუტკერაშვილი	4
33.	XVII	631. "ახმეტ. ღვინ. ქ-ნის მოიჯარეთა ორგანიზ." (ახმ.ღვ.ქ)	600124	290000	48.32	423976.6	090-631	ახმეტა, ჩოლოყაშვილის 81	ი. ჯამრულიძე	12.5
34.	XVII	651. "ინტურისტი" (გორის სასტუმრო ინტურისტი)	37087	14900	40.18	21783.63	150-651	გორი, ხაშურის გზატკ. 4	დ. მაკასარაშვილი	
35.	XVII	657. "სპეცჰიდრომშენი" (მცხეთ. საინჟ. ნაგებ. სამშ. სამმ.)	82765	34500	41.68	50438.6	350-657	ულიანოვის 145-ა, ტ. 620288	რ. ავალიანი	1.32
36.	XVII	765. "საკარცხული" (თბ. გრეხილი ავეჯის კ-ტი)	91044	37500	41.19	54824.56	238-765	ქინძმარაულის 7, ტ. 713812	მ. ჯაფარიძე	2.88
37.	XVII	777. "ბორის ტარა" (ტარის შემკეთებელი საწარმო)	33088	15000	45.33	21929.82	150-777	გორი, შინდისის გზატკ. მე-9 კმ.	მ. ხუბულური	2
38.	XVII	779. "მეტეხი" (კასპი, მეტეხის აგურის ქ-ნა)	137901	54000	39.16	78947.37	280-779	კასპი, სადგური მეტეხი		
		სულ	12304453	5549900		8113889				1459.92

სასარგებლო გამოცდილება

მათ სამყაროს შეცვლა სურთ

სულ რამდენიმე წლის წინათ, როცა ქალაქ სიეტლის (აშშ) მდიდართა საზოგადოება სამეჯლისო დარბაზში ხელოვნების ყოველწლიურ ბენეფისზე იკრიბებოდა,მათ შორის უცნობი ადამიანი იშვიათად თუ გამოერეოდა.

შორეული დასავლეთის ამ კუთხის ფინანსურ სიძლიერეს განასახიერებდნენ ისეთი გვაროვნული იმპერიები, როგორიცაა ბოინგი (ავიამშენებლობა), ნორდსტრომი (ტანსაცმლის მაღაზია) და ვაიერჰაუზერი (ხე-ტყის მასალები). სწორედ ისინი ეწეოდნენ ქველმოქმედებას და მხარში ედგნენ ხელოვნებას, მართავდნენ მოძრაობებს რომელიმე სპორტული გუნდის გადარჩენისა თუ საავადმყოფოსთვის ცალი "ფრთის" მიშენებისათვის.

მაგრამ მოხდა ისე, რომ თითქმის ერთ საათში წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ მდიდართა დარბაისული წეს-ჩვეულებები თავდაყირა დადგა. მიზეზი: კომპანია მიკროსოფტ ქორპორეიშენის თავბრუდამხვევი წარმატება, რომელიც ათ წელზე ცოტა ხნის წინათ დააარსა თავის ქალაქში უილიამ ჰეიგსმესამემ.

მიკროსოფტში ციფრებთან დამოკიდებულება მოზომილია, მაგრამ უოლ-სტრიტზე ერთ-ერთი საპაგიო ფირმის მონაცემებით სიეტლის აღმოსავლეთით მდებარე რედმონდის შტაბ-ბინის არანაკლებ 2200 მოხელისა, ე.ი. თითქმის ყოველი მეხუთე, მილიონერი გახდა. 80-იანი წლების შუაში უოლ-სტრიტზე მომხდარმა კორპორაციულმა შერწყმა-შეერთებამაც ვერ წარმოშვა იმდენი უცბად გამდიდრებული ადამიანი, რამდენიც მიკროსოფტის მოხელეთა შორის გაჩნდა ბოლო ხუთ წელიწადში.

მიკროსოფტელი მილიონერები არავის არ გვანან მსოფლიოში. ბევრი ჯერ 30 წლისაც არ გამხდარა, მათი უმეტესობა კომპანიის ხელმძღვანელთა წრეს არ ეკუთვნის და ტექნიკური განათლების მქონე უბრალო პროგრამისტია.

ისინი თანდათან ცვლიან შეხედულებას სიმდიდრის შესახებ, სხვათაშორის ისევე, როგორც შეცვალეს კომპიუტერთა სამყარო. ისინი უარს ამბობენ ძველი გვარდიის ნაკვალევზე. იმ მდიდართაგან განსხვავებით, რომლებიც ფულს აბანდებდნენ პოლიტიკურ კამპანიებში, ან ჩვეულებრივ ფილანტროპიას მისდევდნენ, მიკროსოფტელი ახალი მილიონერები, როგორც წესი, არ ერევიან პოლიტიკაში და იშვიათად უჭერენ მხარს ტრადიციულ ქველმოქმედებას.

და მაინც მათი გავლენა საკმაოდ იგრძნობა, იგრძნობა იმ სამუშაოთა გამო, რაც ბევრმა მიიღო მიკროსოფტში ან მათს საკუთარ საწარმოებში, აგრეთვე ადგილობრივი სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის გულუხვი დახმარებით. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კომპანია ნინტენდო ბეისბოლის გუნდს "სიგლ მენირენს" ვერ იყოლიებდა, რომ მიკროსოფტის 33 წლის მოხელეს კრის ლარსონს საქმეში 30 მილიონი დოლარი არ ჩაედო. მაგრამ, ყველაზე უფრო საოცარი ის გახლავთ, რომ ეს ახალი თაობა ისეთი თავმდაბლობით გამოირჩევა, როგორითაც მათი წინა თაობა ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა სიმდიდრით არასოდეს მოუხვეჭავთ სახელი. კომპანიაში მომუშავე ბევრ ახალგაზრდას – არა და მათი უმეტესობა მამაკაცებია, – თავისთვის სახლებიც კი არ უყიდიათ. ისინი არ შედიან საქმიან კლუბებში და ავტომანქანებსაც "ლექსუსის" ტიპისას არჩევენ. როლს-როისი და მძღოლი მათი საქმე არ არის.

ისინი უფრო იმ მეოცნებეებს ჰგვანან, რომლებსაც სურთ, რაც შეიძლება, მეტის გაკეთება შესძლონ ტექნიკური პროგრესისათვის. ისინი დღეღამეში 16 საათს მუშაობენ, შესაშური ენერგიითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. ისევე, როგორც თავმჯდომარე ბილი: ასე ეძახიან აქ მისტერ ჰეიგსს. ათასში ერთხელ შეიძლება თავს ნება მისცენ და ყოველდღიურ ჰამბურგერს 50 დოლარად ღირებული ერთი ბოთლი ღვინო დაამაგონ.

"80-იან წლებში უოლ-სტრიტზე მცხოვრებთ უბრალოდ დიდი ფულის გაკეთება უნდოდათ, – ამბობს 39 წლის უილიამ ფოუპი, რომელიც უკვე ექვსი წელია, რაც მიკროსოფტში მუშაობს. მიკროსოფტელებს კი სამყაროს სახის შეცვლა წყურიათ. და ყოველივე ამას განაგებს 36 წლის მისტერ ჰეიგსი, რომელიც ამერიკაში ყველაზე მდიდარ კაცად ითვლება, მისი სუფთა კაპიტალი, მისი აქციების პაკეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაახლოებით შვიდი მილიარდი დოლარია.

კომპიუტერული პროგრამების წარმოებაში მსოფლიოს უდიდესი კომპანია მიკროსოფტის სააქციონერო კაპიტალი – მოგებიანად, – 2 მილიარდ დოლარზე მეტი – გაცილებით უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც პირველად 1986 წელს გასაყიდად გამოუშვეს კომპანიის აქციები 1200 პროცენტზე და ამჯერად უკვე ჯენერალ მოტორსის კაპიტალს გადააჭარბა.

უოლ-სტრიტის ფირმა სანფონდ ბეუნსტაინის ანალიტიკოსის მაიკლ კვატინეცის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებით აღმოჩნდა, რომ სწორედ აქციების გავრცელების მოქნილი პოლიტიკის წყალობითაა, რომ შტაბ-ბინის 11 000 მოხელიდან 2200 მილიონერი გახდა.

DIGEST • DIGEST • DIGEST • DIGEST • DIGEST

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასთა დინამიკის შესახებ

1995 წლის 29 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე პერიოდში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა შეადგინა 101,2 პროცენტი, მათ შორის სასურსათო საქონლისამ – 100,6 პროცენტი, არასასურსათო საქონლისამ – 102,7 პროცენტი.

სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ყველაზე უფრო გაძვირება ერთ კვირაში რეგისტრირებულია ცენტრალურ შავმიწანიადაგიან რაიონში (2,1%), ყველაზე უფრო ნაკლები კი – ცენტრალურ რაიონში (0,7%).

საარსებო მინიმუმის ოდენობამ რუსეთში 1995 წლის ივლისში შეადგინა 293,4 ათასი რუბლი და ივნისთან შედარებით 6 პროცენტით მოიმატა. მიმდინარე წლის შვიდ თვეში საცხოვრებელი მინიმუმი გაიზარდა 1,6-ჯერ (ანუ 113,9 ათასი რუბლი). მაშასადამე 43 მილიონი კაცის შემოსავალი (ანუ მოსახლეობის 29 პროცენტისა) იმ ნიშნულს ქვემოთ აღმოჩნდა.

●

ყირგიზეთმა განცხადება შეიტანა რუსეთს, ბელორუსიასა და ყაზახეთს შორის საბაჟო კავშირში შესვლის თაობაზე

ყირგიზეთი დაინტერესებულია სამმაგი საბაჟო კავშირით და ელოდება ამ საკითხის უახლოეს დროში გადაწყვეტას.

საბაჟო კავშირთან შეერთება რესპუბლიკისათვის ხელსაყრელი იქნება პირველ რიგში ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოების მიმდინარე დაქვეითების პირობებში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში წარმოების დაცემამ 17,7 პროცენტი შეადგინა. საწარმოთა დავალიანება თითქმის 387 მილიონ აშშ დოლარად ფასდება.

●

მოსკოვის მერი დედაქალაქში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის შესახებ

მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა რუსეთის და უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მოკლე ანალიზი გაუკეთა დედაქალაქში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობას. მან აღნიშნა, რომ დაპირებულ სამ მილიონ კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს მშენებლები წლის ბოლოსათვის ჩააბარებენ. ამას გარდა,მომავალი წლისათვის დაგეგმილია უკვე არა სამი, არამედ ოთხი მილიონი კვადრატული საცხოვრებელი ფართობის გადაცემა ქალაქისათვის. ძირითადად დამატებითი მილიონი კვადრატული მეტრი შესრულდება ხუთსართულიანი სახლების რეკონსტრუქციის ანგარიშზე.

მერმა აღნიშნა, რომ დღესდღეობით დედაქალაქს აქვს 36 მილიონი კვადრატული მეტრი ხუთსართულიანი სახლები, რომლებიც პრაქტიკულად აღებას ექვემდებარებიან ან კაპიტალურ რეკონსტრუქციას საჭიროებენ და რომ წელსვე დაიწყება და მომავალ წელს გაგრძელდება მათზე ფართომასშტაბიანი მუშაობა. მაგალითად, 1997 წელს დაგეგმილია აიღონ მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი და შესაბამისად ააშენონ სასტარტო სახლები, 1998 წელს – კიდევ მილიონი კვადრატული მეტრი, 1999 წელს – მილიონნახევარი კვადრატული მეტრი და 2000 წელს – კიდევ მილიონნახევარს გაუკეთდება რეკონსტრუქცია.

ხუთსართულიანი სახლების კაპიტალური რემონტის გარდა მერმა აღნიშნა აღრიცხვაზე მყოფთათვის საცხოვრებელი ბინების აქტიური მშენებლობა და დიდი სოციალური პროგრამის განხორციელების გაგრძელება, რომელიც მიმართულია პირველ რიგში დედაქალაქის მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების დასახმარებლად.

იური ლუჟკოვმა დაწვრილებით უპასუხა ჟურნალისტებს ზამთრისათვის ქალაქის მომზადების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ქალაქის გასათბობ და წყლის მომმარაგებელი სისტემების პროფილაქტიკისა და სარემონტო სამუშაოები მთლიანობაში დამთავრებულია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ შემთხვევითი ავარიები გამოირიცხოს ზამთრის პერიოდში, – დასძინა მან, – მაგრამ ამ დროისათვის ყველა შესაძლო და აუცილებელი სამუშაო ქალაქმა შეასრულა.

კორესპონდენტთა შეკითხვაზე ქალაქის მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ, იური ლუჟკოვმა თქვა, რომ გრძელდება მმართველი სტრუქტურების დეცენტრალიზაციის პროცესი. მართვის არსებული სქემა ძირითადად შეესაბამება ქალაქ მოსკოვის მიღებულ წესდებას და ამ დოკუმენტის დებულებათა,საფუძველზე ამჟამად შემუშავებულია დებულების პროექტი რაიონული გამგეობის შესახებ, რაც ითვალისწინებს მთავარი ამოცანის – ხელისუფლების რაიონული ორგანოების უფლება-მოსილების გაფართოების გზით ქალაქის მართვის სისტემის მოსახლეობასთან დაახლოების – აღსრულებას.

●

რუსეთს შეუძლია ნავთობის წლიური მოპოვება 400 მილიონ ტონამდე გაზარდოს

ინფოტეკის ფინანსური კომპანიის ექსპერტთა ვარაუდით რუსეთს შეუძლია უახლეს 5-7 წელიწადში ნავთობის მოპოვება გაზარდოს 400 მილიონ ტონამდე (8 მილიონი ბარელი – დღე-ღამეში).

ჯერჯერობით კი მოპოვების შემცირების ტენდენციები არ გადალახულა. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მთლიანად რუსეთის ფედერაციაში ნავთობის მოპოვება შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 2,6 პროცენტით ნაკლებია – სულ 153 მილიონი ტონაა მოპოვებული. ქვეყნის ისტორიაში აბსოლუტური რკორდი მიღწეულ იქნა 1987 წელს, როცა მოიპოვეს დაახლოებით 571,5 მილიონი ტონა ნავთობი. შემდეგი წლიდან მოყოლებული დღემდე ნავთობმოპოვება განუწყვეტლივ მცირდება (მაგალითად 1994 წელს მოპოვებული იყო დაახლოებით 318 მილიონი ტონა).

მთავარი მიზეზია შიდა და საგარეო ბაზრებზე ნავთობის გაყიდვით მიღებული დაბალი შემოსავლები.

სხვა ძირითად მიზეზთა შორისაა არასაკმარისი ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებები და შიდა ბაზრებზე ნავთობზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირება. თუკი მოპოვება საკმარის მოგებას მოიგანს,რუსეთის ნავთობმომპოვებელი საწარმოები შეძლებენ უმოკლეს ვადაში არსებითად გაზარდონ მოცულობა.

ექსპერტთა აზრით, ეს შეიძლება გაკეთდეს მოცდენილი ჭაბურღილების აღდგენისა და ახალი საშუალების ამოქმედებით.

ამას გაცილებით ნაკლები სახსრები დასჭირდება, ვიდრე ძიებას, დაზვერვით სამუშაოებსა და ახალი საბადოების გამართვას. წლიური 450 მილიონი ტონა (9 ბარელი დღე-ღამეში) შეიძლება მიღწეულ იქნას 10-15 წლიწადში სამამულო ეკონომიკის ხელსაყრელი განვითარების პირობებში.

განსაკუთრებით ხელსაყრელი კონიუნქტურის შემთხვევაში ნავთობ-მოპოვება შესაძლოა წელიწადში 500 მილიონ ტონამდეც გაიზარდოს (10 მილიონი ბარელი დღე-ღამეში) და რვა წლის წინანდელ რეკორდსაც გადააჭარბოს. ექსპერტთა აზრით, შეიძლება ეს ეკონომიკურად სწრაფმომგებიანიც კი გახდეს – ასეთ დონეზე ნავთობის თვითღირებულება ძალიან მაღალი იქნება და მოპოვების ნაწილი წამგებიანი გახდება. მოცემულ შემთხვევაში ეკონომიკური მიზანშეწონილობა მსოფლიო და საშინაო ბაზრების კონიუნქტურით განისაზღვრება.

●

ოლეგ სოსკოვეცი: რუსეთმა გამოავლინა მზადყოფნა აითვისოს საბაზრო მექანიზმები და იცხოვროს სახსრების შესაბამისად

რუსეთმა დაამტკიცა, რომ მზად არის "აითვისოს საბაზრო მექანიზმები და იცხოვროს სახსრების მიხედვით" – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პირველმა ვიცე-პრემიერმა ოლეგ სოსკოვეცმა.

კაბინეტის ეკონომიკურ პოლიტიკაში ახლო მომავლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად ოლეგ სოსკოვეცმა დაასახელა დაგროვებისა და ინვესტიციების მხარდაჭერა, მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნა და ეკონომიკური ზრდის სტრატეგიაზე გადასვლა. მათი რეალიზაციის დასაწყებად, აღნიშნა მან, აუცილებელია გარდამავალი პერიოდის სიძნელეთა გადალახვა.

ოლეგ სოსკოვეცი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის დადებით მომენტად მიიჩნევს ინფლაციის ტემპების შენელებას, რიგ დარგებში სამრეწველო წარმოების მოცულობის სტაბილიზაციას, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდის შემცირებას და რუბლის კურსის განმტკიცებას, მაგრამ ცალკეული მიმართულებების მიხედვით, აღიარა მან, ადრე დასახული შედეგების მიღწევა ვერ მოხერხდა. პირველ რიგში ეს არის არასაკმაო საინვესტიციო აქტივობა, სტრუქტურულ გარდაქმნათა ნელი განხორციელება, მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავალთა დიფერენციაციის მიმდინარე გაძლიერება.

შექმნილი ეკონომიკური ვითარების კორექტირების მიზნით, აღნიშნა პირველმა ვიცე-პრემიერმა, მთავრობა ღებულობს სერიოზულ დამატებით ღონისძიებებს საფინანსო-ეკონომიკური ვითარების ნორმალიზაციისათვის, პირველ რიგში იმ დარგებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში ძირითად შენაგანებს. "მჯერა, რომ წლის ბოლომდე შევძლებთ სიტუაციის გაწონასწორებას, ყველა ვალის გადახდას საბიუჯეტო სფეროსა და თავდაცვითი კომპლექსისათვის".

●

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტი რუსეთის ეკონომიკაში აშშ-ის ინვესტიციების შესახებ

აშშ მსოფლიოს ყველა ქვეყნებთან შედარებით მეტ სახსრებს დებს რუსეთის ეკონომიკაში. ამაზე მეტყველებს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტის მონაცემები:

ინვესტიციების მოცულობათა მიხედვით ადგილები ქვეყნებს შორის ასე ნაწილდება: მეორე ადგილზეა ბელგია, მესამეზე – ავსტრია, მეოთხეზე – გერმანია და მეხუთეზე – შვეიცარია.

რუსეთის ეკონომიკაში ინვესტიციებმა 1995 წლის პირველ კვარტალში თითქმის 230 მილიონი აშშ-ის დოლარი და 95 მილიარდი რუბლი შეადგინა.

სტატისტიკოსთა მონაცემების მიხედვით უცხოელ ინვესტორებს უფრო იზიდავთ სახალხო მეურნეობის ისეთი დარგები, როგორებიცაა ხის დამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის, კვების მრეწველობა, აგრეთვე ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება. უცხოელი ინვესტორები ყველაზე ნაკლებ თანხებს აბანდებენ ფინანსების, კრედიტებისა და დაზღვევის განვითარებაში.

1995 წლის იანვარ-ივლისში რუსეთში 13 პროცენტით დაეცა ოქროს მოპოვება. მათ შორის რესპუბლიკა სახაში – 12 პროცენტით, მაგადანის ოლქში – 23 პროცენტით, ჩუკოტკის ავტონომიურ ოკრუგში 40 პროცენტით.

აღნიშნულ პერიოდში ოქროს ზოდების წარმოება კი 5 პროცენტით გაიზარდა.

რეკლამა * რეკლამა * რეკლამა
* რეკლამა * რეკლამა *

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს აუქციონს

რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის გამოუყენებელი შენობის (ქ. თბილისი უზნაძის ქ. № 28) იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს.

ინფორმაცია ობიექტის შესახებ:

მეიჯარე: რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი.

ობიექტის ადგილმდებარეობა: ქ. თბილის უზნაძის ქ. 28.

„საიჯარო ქონების საწყისი ოდენობა 2270 აშშ დოლარი წელიწადში. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომელიც იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარადგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება.

2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი.

3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველელ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი მისამართი, საპასპორტო რეკვიზიტები.

განმცხადებელმა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, "ბე"-ს სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი" ა/ა 001141776, მ ფ ო 521017.

განმცხადებელი აუქციონში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განსახილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირების და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე.

აუქციონის ჩამტარებელი კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის შემდეგ. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადების განხილვა, განმცხადებელს ეცნობება განცხადების წარმოდგენისას.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველელ კომისიაში, ოთახი №307.

ცნობებისათვის დარეკეთ 29-27-94, 29-00-06.

საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო ქონების
მართვის სამინისტრო.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის რაიონული განყოფილება აცხადებს მეორად აუქციონს გაჩიანის დიატომიტის ქარხნის შესახებ:

ქარხნის საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 90392 დოლარს.

აუქციონის ბიჯი შეადგენს ქარხნის საწყისი გასაყიდი ფასის 20%.

აუქციონი ჩატარდება გარდაბნის რაიონის გამგეობის შენობაში ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის რაიონულ განყოფილებას, შემდეგ მისამართზე: გარდაბანი, რაიონის გამგეობის შენობა,

ტელ: 22-80, 24-32

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის რაიონული განყოფილება

განცხადება

ა.წ 1 აგვისტოს გაზეთ „პრივატიზების მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება თეთრწყაროს მეფრინველეობის ფაბრიკის ჯორჯიაშვილის საბროილერო განყოფილების იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თუ განყოფილების შრომითი კოლექტივი შექმნიდა დროებით ამხანაგობას და განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში სამინისტროში შემოიტანდა განცხადებას განყოფილების იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, მაშინ კონკურსი აღარ გაიმართებოდა და განყოფილება იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცემოდა აღნიშნულ ამხანაგობას.

ვინაიდან განყოფილების შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით და დადგენილ ვადაში შემოიტანა განცხადება განყოფილების იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების შესახებ, აღნიშნული განყოფილება კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა ჯორჯიაშვილის საბროილერო განყოფილების შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

სახელმწიფო ქონების მართვის
სამინისტრო

ქართული კულტურისა და რეკლამის საგარეო-ეკონომიკური რესპუბლიკური ფირმა „ბენეფისი" გაცნობებთ, რომ ფირმის ბაზაზე შექმნილია თანამედროვე უცხოური ტექნიკით აღჭურვილი პოლიგრაფიული საწარმო

ჩვენ მზად ვართ შევქმნათ შემდეგი სახის პროდუქცია:

1. წიგნები, ბროშურები, პლაკატები.

2. საბუღალტრო, საკანცელარიო, სამსახურეობრივი ბლანკები, პირადობის მოწმობები.

3. სიგელები, დიპლომები და საიუბილეო მისალოცი ადრესები.

4. ნებისმიერი ტექსტის თარგმანი, კორექტურა და სტილი.

5. ვიდეო გადაღება, ვიდეო მონტაჟი, ვიდეო აპარატურის გაქირავება.

სამუშაოთა მოსახურება წარმოებს როგორც ფირმის ასევე დამკვეთის მასალით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს ფირმაში შეიქმნა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ატრიბუტიკა: ლარი, ვაუჩერი, ხურდა ფული, კუპონი, ქართული პასპორტი, პირადობის მოწმობები.

ჩვენ გთავაზობთ ურთიერთ თანამშრომლობას მაღალი ხარისხის გარანტიით და ფინანსურად ხელსაყრელი პირობებით.

შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურება მოხდება ნებისმიერი ფორმით.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე" რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0393

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ეტცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 06.10.95 წ.

ПРИВАТИЗЕБИС МАЦНЕ
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზირი, 64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
"სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო
კოლეგია